განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ტურიზმი

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
02.10.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
06.12.2018

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204555524 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ტურიზმი |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში 1120 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ავტორიზებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ასლან მახაძე, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესორი. საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მერაბ ხოხობია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა დევიძე, ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი. საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანა მოსემღვდლიშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სტუდენტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაციით „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში" ხორციელდება ბიზნესისა და მართვის კათედრაზე 2009 წლიდან დღემდე. აკრედიტებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2013 წლის 15 ოქტომბრის №150 გადაწყვეტილებით.

პროგრამაზე სწავლის პროცესი ორგანიზებულია, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის წესის მიხედვით: საბაზისო კურსები (36 კრედიტი), უცხოური ენის მოდული (24 კრედიტი) სპეციალობის სასწავლო კურსები (126 კრედიტი), თავისუფალი სასწავლო კურსები (30 კრედიტი) პროფესიული პრაქტიკა (12 კრედიტი), საბაკალავრო ნაშრომი (12 კრედიტი).

ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტს, რომელშიც შედის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ემსახურება 61 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელიც სტუდენტს ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში

პროგრამაში ჩართულია: პროგრამაში სულ ჩართულია 25 ადამიანი, მათ შორის 22 არჩეული აკადემიური პერსონალი, აქედან 14 პროფესორი, მათგან 12 აფილირებული პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, მათგან 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 3 მოწვეული პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 2 ოქტომბერს. ვიზიტამდე, 1 ოქტომბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (ასლან მახაძე, მერაბ ხოხობია, ეკა დევიძე, ანა მოსემღვდლიშვილი) 16 საათზე და 18 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ვიზიტის დროს განსახილველი აუცილებელი კითხვები, ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

2 ოქტომბერს გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 10:00 სთ-ზე დაიწყო მუშაობა. ვიზიტი მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის,

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ არჩეულ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. დათვალიერებულ იქნა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზ(ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, კაბინეტები და ა.შ). სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, საინტერესო დიალოგით და ჯანსაღი მსჯელობით კონკრეტულ საკითხებზე. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ტურიზმის პირველი და მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე, და მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მესამე სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამის ძლიერ მხარეებია: ბოლო პერიოდში პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, პროგრამის შინარსის და კურსების სწავლების შედეგების მიზნებთან შესაბამისობის განსაზღვრისთვის გაწეული მუშაობა. გთუნის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტების შექმნა. ინკუბატორის ფუნქციონირება, რომელიც რიგ კურსებში სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს განამტკიცონ მიღებული თეორიული ცოდნა და გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარები. პროგრამის სუსტი მხარეებია: მისი ახალი პროგრესული კურსებით შევსების საჭიროება, რამდენიმე შემთხვევაში უნდა შეიცვალოს საგნების დასახელება, პროგრამის შინაარში გამოთქმული ზოგიერთი შეფასებები არაზუსტია, მაშინ, როცა არსებული სიტუაცია საჭიროებს ზუსტ განსაზღვრას. სილაბუსებში დაფიქსირებული ლიტერატურა გასამდიდრებელია ინგლისურენოვანი და ახალი ქართული ლიტერატურით. არის შემთხვევები, როცა კურსი ისწავლება ერთი წიგნით. გასაუმჯობესებელია დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაცია.

**რეკომენდაციები**

1. პროგრამის მიზნების და შედეგების შესაბამისობის ამაღლების მიზნით ინკუბატორის საქმიანობა გაძლიერდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროგრამული პაკეტებით;

2. შეიცვალოს სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები შესაბამისად კურსებით: ტურიზმის ეკონომიკის, შესავალი ტურიზმში-მიკროეკონომიკით; ტურისტული საწარმოს მართვის, შესავალი ტურიზმში-მენეჯმენტის საფუძვლებით; სასტუმროების მენეჯმენტის საფუძვლების; შესავალი ტურიზმში- მენეჯმენტის საფუძვლებით;

3. შემცირდეს პროგრამის შედეგების რაოდენობა და ის ძირითადად განისაზღვროს მაპროფილებელი სასწავლო კურსების შედეგებით;

4. განხორციელდეს პროგრამის შედეგების და სასწავლო კურსების შედეგების კორექტირება;

5. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებით მკაფიოდ განისაზღვროს დაშვების წინაპირობები;

6. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში“, ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, დაჯავშნის სისტემები ან სასტუმროს მართვის პროგრამული პაკეტები, „ხარისხის მართვა ტურიზმში“.

7. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საგნების კონტექსტში დაკონკრეტდეს და განისაზღვროს მათემატიკა, გეოგრაფია ან ისტორია.

8. სპეციალობის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს „ბიზნესის თეორია“და „მენეჯმენტის თეორია“, შესაბამისად შეეცვალოთ სახელწოდება „ბიზნესის საფუძვლებით“ და „მენეჯმენტის საფუძვლებით“.

9. რეკომენდებულია გაძლიერდეს მუშაობა სტუდენტების მხარდასაჭერად კარიერული განვითარებისა და ონლაინ სისტემით მაქსიმალური ინფორმირებულობის მიზნით;

10.რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის პროცესში;

11.რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების დროს მეტი ყურადღება დაეთმოს გამოყენებული წყაროების სქოლიოს წარმოებას.

12. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების დროს მეტი ყურადღება დაეთმოს გამოყენებული ლიტერატურის სქოლიოს წარმოებას

13. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაამყაროს რეგულარული და საგნობრივი კომუნიკაციები სტუდენტებთან კურსდამთავრებულებთან დამსაქმებლებთან და (სხვაა დაინტერესებულ მხარეებთან)

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. შემცირდეს მიზნების რაოდენობა. ჩამოყალიბდეს ისინი მკაფიოდ და ლაკონურად, მისი მიღწევის შესაძლებლობების გათვალისწინებით;

2. სასურველია ინტერაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობა;

3. სასურველია სასწავლო კურსების ფარგლებში გაძლიერდეს სწავლების პრაქტიკული კომპონენტები, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული უნარების მეტად განვითარებას;

4. სასურველია უფრო ინტენსიური გახდეს სტუდენტების კომუნიკაციები დამსაქმებლებთან;

5. სასურველია პროგრამების და სილაბუსების გაუმჯობესების მიზნით ინტენსიური კომუნიკაციების დამყარება, კურსდამთავრებულებთან დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;

6. სასურველია აფილირებული აკადემიური პერსონალისა და აკადემიური პერსონალის (პროფესორი) უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა-ვალდებულებები გაიმიჯნოს და მუხლების სახით აისახოს (პერსონალის) ინდივიდუალურ ხელშეკრულებებში.

7.სასურველია გარე ხარისხის შეფასების შედეგები, ასახვას პოულობდეს პროგრამის და სილაბუსების შინაარსის ხარისხის გაუმჯობესებაში.

8. სასურველია პერიოდულად განისაზღვროს სწავლის შედეგების კორელაცია სტუდენტთა სწრებადობასთან.

9. სასურველია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უფრი აქტიურად ჩაერთოს კვლევით საქმიანობაში და გაცვლით პროგრამებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროფესიული მოსაზრებებით, დაინტერესებულ მხარეთა რეკომენდაციების, აგრეთვე აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

- დაზუსტდა და გაფართოვდა პროგრამის მიზნები;
- მიზნების შესაბამისად დაზუსტდა და რეფორმულირებულია სწავლის შედეგები;
- გაიზარდა საბაზისო (საფაკულტეტო) კურსების კრედიტების რაოდენობა (იყო 34, გახდა 36);
- შემცირდა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა (იყო 140, გახდა 126);
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისა და საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის (მოდული/სასწავლო კურსი) კრედიტების გაანგარიშების ფორმის მიხედვით განხორციელებული ანკეტირების ანალიზის შედეგების შესაბამისად განისაზღვრა საგანამანათლებლო პროგრამის ცვლილებები, კერძოდ:

- *საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულის სასწავლო კურსებში: „აკადემიური წერა“ და „მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო“ გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა (30 საათის ნაცვლად 45 საათით);*
- *საბაზისო სავალდებულო კურსების მოდულში სასწავლო კურსების კრედიტები განისაზღვრა 4 კრედიტის მოცულობით;*
- *სპეციალობის არჩევით მოდულში, არჩევითი/თავისუფალი სასწავლო კურსების კრედიტები განისაზღვრა 6 კრედიტით*

*ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში განახლდა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, ასევე დაიხვეწა და დაზუსტდა სწავლა-სწავლების მეთოდები.*

- ერთით გაიზარდა სპეციალობის თითოეული სავალდებულო კურსის კრედიტების რაოდენობა დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დროის გაზრდის მიზნით;
- შეეცვალა სახელწოდება კურსებს შემდეგნაირად:
  - „მათემატიკა ეკონომისტებისათვის“- „მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“;
  - „დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი“ - „დესტინაციის მენეჯმენტი“;
  - „სტუმარმასპინძლობა ტურიზმში“ -„სასტუმროების მენეჯმენტის საფუძვლები“
  - „სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია“ -„საზოგადოებრივი გეოგრაფია“;
- ამოღებულ იქნა: სპეციალობის სავალდებულო კურსი: „მარკეტინგი“, რადგან ისწავლება „ტურიზმის მარკეტინგი“, გარკვეული თემების დუბლირების აღმოსაფხვრელად; აგრეთვე, არჩევითი კურსები “პოლიტოლოგია“; „კროსკულტურული მენეჯმენტი“, „ბიზნეს-გეგმის შედგენა და მართვა“;
- კურიკულუმს დაემატა სავალდებულო კურსი: „ფინანსების საფუძვლები“;
- პროგრამის მოქნილობის გაზრდის მიზნით კურიკულუმს დაემატა არჩევითი კურსები: “მცირე ბიზნესის მართვა“, „ეთიკა“; „რელიგიის ისტორია“, „Community Based Tourism-Field Research“; „Sustainable Destination Management“; „Cross-cultural Business Communications“. სავალდებულო კურსები „შესავალი საერთაშორისო ტურიზმში“ ,„ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება“, „სტრატეგიული მართვა“ ,„ადამიანური რესურსების მართვა“ გადავიდა სპეციალობის მოდულის არჩევით კურსებში;
- გაიზარდა პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კრედიტების რაოდენობა (თითოეული იყო 10, გახდა 12) და თავისუფალი კურსების კრედიტების რაოდენობა (იყო 22, გახდა 30);
- განახლდა გამოყენებული ლიტერატურის და დაიხვეწა სწავლა-სწავლების მეთოდები.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის მიზნები შემუშავებულია გთუნის მისიის და სტრატეგიული განვითარების გეგმის, აგრეთვე ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე. აღნიშნული გულისხმობს, რომ პროგრამას წვლილი შეაქვს საუნივერსიტეტო მისიის განხორციელებაში და გთუნის ავტორიტეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად დამკვიდრების ხელშეწყობაში, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რაც აღნიშნულია პროგრამის მიზნებში, კერძოდ „ტურიზმის პროგრამის დანიშნულებაა წვლილი შეიტანოს საუნივერსიტეტო მისიის განხორციელებაში და ხელი შეუწყოს გთუნის ავტორიტეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად დამკვიდრებას ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ; მოამზადოს სტუდენტი კონკურენტული შრომის ბაზრის გამოწვევებისა და 21-ე საუკუნის გლობალური საზოგადოების ღირსეული წევრობისათვის თანამედროვე მეცნიერულ, პედაგოგიურ, ტექნოლოგიურ მიღწევებზე დაფუძნებული ხარისხიანი ცოდნის გადაცემით”. პროგრამაში მკაფიოდაა გადმოცემული თუ რა ცოდნისა, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთვრებულის მომზადებისაკენ მიმართული, რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადობის განვითარებაში. ითვალისწინებს ასევე ქვეყნის და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დარგის და მეცნიერების განვითარების დონეს, განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხებს. მიზნებში ჩამოყალიბებულია ასევე სტუდენტისთვის საერთაშორისო მეცნიერული მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის გადაცემის, გლობალური ტრენდების, გამოწვევების, პრობლემების ანალიზის, უნარების შეძენის, განათლების საერთაშორისო გამოცდილებების ინტეგრაციის საკითხები. პროგრამის მიზნები გაზიარებულია აკადემიური პერსონალის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა მიერ და შეფასებულია, როგორც მიღწევადი. უსდ მიზნების მისაღწევად გააჩნია სათანადო რესურსები: ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილება და კავშირები დასაქმების სფეროს, ობიექტებსა და პოზიციებთან.<br>მიუხედავად იმისა, რომ მიზნები ძირითადად განსაზღვრავს სასურველ შედეგებს, ზოგიერთ შემთხვევაში აბსტრაქტულადაა წარმოდგენილი და ძნელად აღსაქმელია. გასაუმჯობესებელია მათი ფორმულირება შინაარსობრივად და კონკრეტიზაციის კუთხით. ის წარმოდგენილი უნდა იყოს კონცენტრირებულად მკაფიოდ და ლაკონურად. ასევე სასურველია მიზნების რაოდენობის შემცირება. |
| 1. **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>2. საგანმანათლებლო პროგრამა - „ტურიზმი“;<br>3. სასწავლო უნივერსიტეტის მისია;<br>4. ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მისია;<br>5. სასწავლო უნივერსიტეტის და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის |

სტრატეგიული განვითარების გეგმა;
6. ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
7. უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
8. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
9. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა;
10. ტურიზმის შრომის ბაზრის კვლევა;
11. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა;

სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.gtuni.edu.ge

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის მიზნების და შედეგების შესაბამისობის ამაღლების მიზნით ინკუბატორის საქმიანობა გაძლიერდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროგრამული პაკეტებით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- შემცირდეს მიზნების რაოდენობა. ჩამოყალიბდეს ისინი მკაფიოდ და ლაკონურად, მისი მიღწევის შესაძლებლობების გათვალისწინებით;

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები განსაზღვრულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს 1 საფეხურის აღმწერის შესაბამისად. სწავლის შედეგები აღწერს ბიზნესის ძირითადი ფუნქციური არეალებისა და ტურიზმის დარგის სპეციფიკურ დარგობრივ, ასევე ზოგად კომპეტენციებს, რომელიც ბაკალავრს ექნება პროგრამის დასრულების შემდეგ. საგანმანათლებლო პროგრამაში კურიკულუმის რუკა (ცხრ.N2) აღწერს სწავლის შედეგების ბმას სასწავლო კურსებთან. ასეთი მიდგომა თვასაჩინოს და უფრო გაზომვადს ხდის სწავლის შედეგებს და შეესაბამება პროგრამის მიზნებს. საგანმანათლებლო პროგრამაში დაფიქსირებულია 25 შედეგი, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ცალკეულ შედეგებზე გასვლას უზრუნველყოფს რამდენიმე ან ერთი კურსი, გამონაკლისია 23 შედეგი - „საკუთარი ცოდნის გაღრმავების, გაფართოებისა და მუდმივი განახლების უნარის გამოვლენა; შემდგომი სწავლის (როგორც ფორმალური-მაგისტრატურაში, ისე არაფორმალური) საჭიროების განსაზღვრა“,აღნიშნული შედეგი მიიღწევა შემდეგი 19 კურსის სწავლებით: კომუნიკაციის ტექნოლოგიები, მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო, აკადემიური წერა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში- II, უცხო ენა- I, უცხო ენა-II, ბიზნესის თეორია, მენეჯმენტის თეორია, ტურიზმის ეკონომიკა, ექსკურსიების მენეჯმენტი, გეოგრაფიული სისტემები ტურიზმში, ტურისტული საწარმოს მართვა, ტურიზმის მარკეტინგი, კულტურული ტურიზმი, პროფესიული პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი. პროგრამის შედეგთან, კურსების სწავლის შედეგების წარმოდგენილი მრავალმხრივი კავშირი ბუნდოვანია, რადგან ანალოგიურ სიტუაციებში ყურადღების კონცენტრაცია უმჯობესია გაკეთდეს, რამდენიმე შედეგედთან მჭიდროდ დაკავშირებულ კურსზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლის შედეგი ვერ იქნება რეალისტური, გამჭვირვალე და გაზომვადი.

პროგრამის შედეგი 5-ის „ტურიზმის მარკეტინგის ფართო ცოდნის დემონსტრირება; ძირითადი ცნებების განსაზღვრა, მარკეტინგის ფუნქციების ჩამოყალიბება, ბაზრის კონკურენტული გარემოს დემონსტრირება,“ მიღწევა გათვალისწინებულია კურსის „ტურიზმის მარკეტინგი“ სწავლებით, რაც ნაწილობრივ არ აკმაყოფილებს სასურველ

შედეგს. სილაბუსში სასწავლო თემების ჩამონათვალში არაა გათვალისწინებული ტურისტული ფირმის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ისეთი მნიშვნელოვანი მდგენელი, როგორიცაა ტურისტული ფირმის მოთხოვნის სტრუქტურის და ტურისტული მომსახურების სიმძლავრეების (CAPACITY) დაბალანსების საკითხები, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს, რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მომსახურების ხარისხს და რენტაბელობას. დარგში აღნიშნული თემის აქტულობა განპირობებულია იმით, რომ ტურისტულ მომსახურებაზე მოთხოვნის მოცულობა ხშირად მერყეობს. ამიტომ კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა მუდმივად საჭიროებს მოთხოვნის და სიმძლავრეების მენეჯმენტს მათი დაბალანსების მიზნით. კურსის სწავლის შედეგზე ასევე უარყოფით გავლენას მოახდენს სწავლების წინაპირობად, კურსის „ტურიზმის შესავალი" აღიარება, რადგან მის რეალურ წინაპირობას კურსი „ტურიზმის ეკონომიკა" წარმოადგენს. ამ უკანასკნელში საფუძვლების დონეზე შეისწავლება რიგი საკითხები, რომელთა ცოდნაზე დაყრდნობით იოლად გასაგები და გასააზრებელი იქნება ტურიზმის მარკეტინგის შინაარსი.

წინაპირობები არასწორადაა განსაზღვრული სხვა კურსებშიც მაგალითად, კურსის „ტურიზმის ეკონომიკა" წინაპირობაა „მიკროეკონომიკა", პროგრამით განსაზღვრულია „შესავალი ტურიზმში". კურსის „ტურისტული საწარმოს მართვა" - წინაპირობაა „მენეჯმენტის საფუძვლები", პროგრამით გათვალიწინებულია „შესავალი ტურიზმში". სწავლის შედეგის გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია ასევე, კურსი „ფსიქოლოგიის საფუძვლები" შეიცვალოს კურსით, „პროფესიული ფსიქოლოგია". სწავლის შედეგების მნიშვნელოვანი მახასიათებელია საბაკალავრო ნაშრომები, რომლებიც ძირითადად შესრულებულია სათანადო დონეზე, თუმცა ყველა ნაშრომში სრულფასოვნად არაა წარმოდგენილი გამოყენებული წყაროები.

გამოკითხვებით დასტურდება, რომ სწავლის შედეგების შეფასებაში სასწავლებელი იყენებს მის მიერ შემუშავებულ „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს," რომელიც მოიცავს; აკადემიური მოსწრების ანალიზს, შეფასების კატეგორიების მინიჭების მახასიათებლებს, სწავლის შედეგების რუკას, ინდიკატორებს, კრიტერიუმებს, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგიას, სამიზნე ნიშნულებს, ასევე, აწარმოებს შეფასების შედეგების მონიტორინგს. ყველა აღნიშნული ბერკეტის გამოყენებით მიღწეულია შეფასების ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

| |
|---|
| |
| 1. **მტკიცებულებები/ინდიკატორები** საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი“;<br>2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;<br>3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა ;<br>4. პროგრამის სწავლის შდეგების შეფასების მექანიზმები;<br>5. ტურიზმის შრომის ბაზრის კვლევა;<br>6. სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;<br>7. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი;<br>8. ტურიზის შრომის ბაზრის კვლევა;<br>9. პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>10. სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით: www.gtuni.edu.ge;<br><br>11. გამოკითხვის შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>1 . შემცირდეს პროგრამის შედეგების რაოდენობა და ის ძირითადად განისაზღვროს მაპროფილებელი სასწავლო კურსების შედეგებით;<br>2 განხორციელდეს პროგრამის შედეგების და სასწავლო კურსების შედეგების კორექტირება;<br>3 . შეიცვალოს სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები შესაბამისად კურსებით: ტურიზმის ეკონომიკის, შესავალი ტურიზმში-მიკროეკონომიკით; ტურისტული საწარმოს მართვის, შესავალი ტურიზმში-მენეჯმენტის საფუძვლებით; სასტუმროების მენეჯმენტის საფუძვლების; შესავალი ტურიზმში- მენეჯმენტის საფუძვლებით;<br>4.რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების დროს მეტი ყურადღება დაეთმოს გამოყენებული წყაროების სქოლიოს წარმოებას. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ კურსი „ფსიქოლოსიის საფუძვლები“ შეცვალოს კურსით „პროფესიული ფსიქოლოგია“. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). |

| შეფასება |
|---|
| ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამას - ტურიზმი, განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. რომელიც ითვალისწინებს აბიტურიენტების მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებით. პროგრამაზე შესაძლებელია დაიშვას აბიტურიენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშეც, საქართველოს |

მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დამატებითი დოკუმენტების მიხედვით პროგრამაზე ჩაირიცხა აბიტურიენტი ბიოლოგიით. პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, ამ საგნით აბიტურიენტების მიღება ტურიზმის საბაკალავრო პროგრამასთან ნაკლებად თავსებადია. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად საგნების კონტექსტში დაკონკრეტდეს და განისაზღვროს მათემატიკა, გეოგრაფია ან ისტორია. პროგრამაზე დაშვების პირობები საჯარო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ნებისმიერ პირს ასევე შეუძლია მიიღოს კონსულტაცია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში მითითებულ საკონტაქტო პირისგან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ტურიზმი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://gttu.edu.ge

**რეკომენდაციები:**

რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საგნების კონტექსტში დაკონკრეტდეს და განისაზღვროს მათემატიკა, გეოგრაფია ან ისტორია.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ტურიზმი შემუშავებულია გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში აკადემიური ხარისხი ენიჭება 240 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც სტუდენტმა უნდა შეასრულოს 8 სემესტრში. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად: 36 კრედიტი საბაზისო სასწავლო კურსები (მ.შ. 24 სავალდებულო, 12 არჩევითი) აღნიშნულ კურსებს პროგრამის მიხედვით სტუდენტები გადიან პირველ ოთხ სემესტრში. უცხო ენას სტუდენტები შეისწავლიან ოთხი სემესტრის განმავლობაში, რომელსაც ეთმობა 24 კრედიტი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს ჩაბარებული აქვს სხვა უცხო ენა შესაძლებლობა აქვს დაიწყოს ენის შესწავლა დამწყების ან ელემენტარული საფეხურიდან. სპეციალობის სასწავლო კურსებს ეთმობა 126 კრედიტი, რომელიც ითვალისწინებს 96 კრედიტს სავალდებულო საგნებისათვის, ხოლო 30 კრედიტი განკუთვნილია არჩევითი დისციპლინებისათვის. პროგრამა მოიცავს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს - 12 კრედიტი, პროგრამის მიხედვით სტუდენტები პრაქტიკას გაივლის საქართველოში მოქმედი სახელმწიფო ან კერძო სექტორის ორგანიზაციაში. პროგრამის ძირითადი ბადის მიხედვით მერვე სემესტრში სტუდენტები მუშაობენ საბაკალავრო ნაშრომზე რომლისთვისაც განკუთვნილია 12 კრედიტი. სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ თავისუფალი კრედიტები (30 კრედიტი) უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამიდან. მთლიანობაში პროგრამის შინაარსობრივი კომპონენტები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამის განმახორციელებლების მიერ შემუშავებულია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და კურიკულუმის რუკა. პროგრამით გათვალისწინებულია 25 სწავლის შედეგი, რაც ჩვენი აზრით საჭიროებს გადახედვას, შესაძლებელია ზოგიერთი შედეგის გამსხვილება და მკაფიოდ ფორმულირება. ასევე, სილაბუსების გარკვეულ ნაწილში დაშვების წინაპირობები ფორმულირებულია შემდეგი სახით: ,,კურსის შესწავლისათვის სტუდენტებს გავლილი უნდა ჰქონდეთ“, ,,კურსის შესწავლამდე სტუდენტი უნდა იცნობდეს“, ,,კურსის შესწავლამდე სტუდენტს უნდა ქონდეს კომპიუტერთან მუშაობის ზოგადი უნარ-ჩვევები“. ცხადია, რომ საგანზე დაშვების წინაპირობები სილაბუსებში გარკვეულწილად ბუნდოვანია და საჭიროებს დაკონკრეტებას. მიგვაჩნია, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსთან დაკავშირებით პროგრამის ბადეში საჭიროა განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, გეოინფორმაციული სისტემების საფუძვლები და გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში ისწავლება ცალ ცალკე საგნად. მთლიანობაში ამ საგნებს ეთმობა 12 კრედიტი. მიგვაჩნია რომ პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე აღნიშნული საგნები შესაძლებელია გაერთიანდეს, გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე კი პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს სხვა საგნები, მაგალითად, ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი

| |
|---|
| ტურიზში", ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები", დაჯავშნის სიტემები ან სასტუმროს მართვის პროგრამული პაკეტები, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>▪ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ტურიზმი;<br>▪ თვითშეფასების ანგარიში;<br>▪ პროგრამის სილაბუსები;<br>▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;<br>▪ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://gttu.edu.ge |
| **რეკომენდაციები:**<br><br>▪ რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დისციპლინების სპეციფიკის გათვალისწინებით მკაფიოდ განისაზღვროს დაშვების წინაპირობები;<br>▪ რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში", ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები", დაჯავშნის სისტემები ან სასტუმროს მართვის პროგრამული პაკეტები. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში - ტურიზმი, მთლიანობაში გათვალისწინებულია ის ძირითადი სასწავლო კურსები, რომელიც აუცილებელია ტურიზმის პროფილის საგანმანათლებლო პროგრამისათვის. პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. სასწავლო კურსების სლაბუსებში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსის კრედიტის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ საგანთან მიმართებით არსებობს გარკვეული ხარვეზები სილაბუსებში რომელიც საჭიროებს გადახედვას. სპეციალობის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს ბიზნესის თეორია, მენეჯმენტის თეორია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგნებს შეეცვალოს სახელწოდება ბიზნესის საფუძვლებით და მენეჯმენტის საფუძვლებით. სავალდებული ბლოკის საგანში ,,შესავალი ტურიზმში“ - კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ტურიზმის, როგორც ბიზნესის ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი დარგის თეორიული საფუძვლები, რაც კურსის შინაარსთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია და მოითხოვს კურისის მიზნის მკაფიოდ ფორმულირებას. ,,მენეჯმენტის თეორია“ - დასაკონკრეტებელია სასწავლო კურსის მიზნები, გასაახლებელია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ლიტერატურა (მითითებულია რუსულენოვანი წყარო). ,,ტურიზმის ეკონომიკა“ - აღნიშნულ საგანს წინაპირობად უნდა განესაზღვროს მაკროეკონომიკა, ასევე რეკომენდებულია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს თანამედროვე ინგლისურენოვანი წყაროებით. ,,მიკროეკონომიკა“ - რეკომენდებულია ნიკოლსონისა და სნაიდერის მიკროეკონომიკის ძირითად ლიტერატურაში დამატება, რომელიც ქართულ ენაზეა. ,,მაკროეკონომიკა“ - რეკომენდებულია ძირითად ლიტერატურას დაემატოს ოლივიე ბლანშარის მაკროეკონომიკა. საბაზისო მოდულის საგანში ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“ - სასწავლო კურსის მიზანია Microsoft Office პროგრამულ პაკეტში შემავალი პროგრამების შესწავლა, თუმცა კურსის შინაარსში ცალკე ლექციად არ არის გათვალისწინებული Microsoft Word გამოყენება, რაც საჭიროებს დახვეწას. მთლიანობაში პროგრამაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საგანზე დაშვების წინაპირობები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ტურიზმი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლოს კურსის სწავლის შედეგების რუქა;

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;

**რეკომენდაციები:**

- სპეციალობის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს „ბიზნესის თეორია“, „მენეჯმენტის თეორია“, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეეცვალოს სახელწოდება „ბიზნესის საფუძვლებით“ და „მენეჯმენტის საფუძვლებით“.
- სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საგანზე დაშვების წინაპირობები, ასევე მიზანშეწონილია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განახლდეს თანამედროვე ინგლისურენოვანი წყაროებით;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამაში - ტურიზმი გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც კვლევითი ხასიათისაა და იგი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სხვადასხვა დისციპლინებში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას. საბაკალავრო ნაშრომის მომზადების და დაცვის პროცესი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა რათა შემოწმდეს საბაკალავრო პროგრამით სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევები და მისი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები. პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება საშინაო დავალებების, ქეისების, რეფერატების და სხვა პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები. ბუნებრივია პრაქტიკული ხასიათის აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს, რომლის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში პრაქტიკა გაიარონ საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებში. სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა ინტერნაციონალიზაციის კუთხით სისუსტეები, პროგრამის განვითარების თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ გააქტიუროს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და ხელი შეუწყოს უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, რაც პოზიტიურად აისახება სტუდენტების პროფესიულ განვითარებაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა - „ტურიზმი“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია ინტერაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობა;

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის (ტურიზმი) თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, იგი შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს. სალექციო/სასწავლო კურსებში სწავლის პროცესში გამოყენებული სწავლება/სწავლის მეთოდები არის მოქნილი, ინტერაქტიული და ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს, უსდ/ფაკულტეტის მიერ შემუშავებულია სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას თითოეული სტუდენტისთვის განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან: ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი, კონკრეტული საგნის ლექტორი და სასწავლო განყოფილების უფროსი, გეგმის შედგენის პროცესში ჩართულია თავად სტუდენტი. ზოგიერთ სპეციალობის სასწავლო კურსებში, რომლებიც პრაქტიკულ უნარებზე გადის, არასაკმარისადაა წარმოდგენილი მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევები. დედუქციის მეთოდის გამოყენება,რაც მითითებულია სილაბუსებში ნაწილობრივ რეალურად არ სრულდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სწავლება-სწავლის მეთოდები
- ინდივიდუალური გეგმა
- გამოკითხვის და ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია სასწავლო კურსების ფარგლებში გაძლიერდეს სწავლების პრაქტიკული კომპონენტები, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული უნარების მეტად განვითარებას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში შეფასების პროცედურა ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანებას და გთუნიში მოქმედ სტუდენტის მიღწევების შეფასების წესს (ბრძ. № 01-01/ 64.“ 22“ივლისი, 2016 წ.), რომელიც ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

დადგენილია სტუდენტის შეფასების ფორმები და კომპონენტები: ზეპირი/წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, შუალედური შემოწმება, დასკვნითი გამოცდა. სემესტრული შეფასების მაქსიმალური ქულაა 100, ხოლო მინიმალური ზღვარი- 51; შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, ხოლო მინიმალური ზღვარი- 31; ზეპირი/წერითი გამოკითხვის კომპონენტის შეფასების მაქსიმალური ქულაა 20, ხოლო მინიმალური ზღვარი - 10; პრაქტიკულ/თეორიული სამუშაოს კომპონენტის შეფასების

მაქსიმალური ქულაა 10, ხოლო მინიმალური ზღვარი - 6; შუალედური შემოწმების მაქსიმალური ქულაა 30, ხოლო მინიმალური ზღვარი - 15; დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულაა 40, ხოლო მინიმალური ზღვარი - 20. სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ელექტორნულ სასწავლო პლატფორმას, რომელიც ხელს უწყობს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაასაჩივრონ მიღებული შეფასება, რასაც ადასტურებს სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური პერიოდულად აწარმოებს სტუდენტთა სწავლის შედეგების ანალიზს და მის შედეგებს იყენებს გადაწყვეტილებების მისაღებად, რომელეც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა;
- საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი“;
- ვებგვერდი: www.gtuni.edu.ge;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- გამოკითხვის შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.** სასურველია პერიოდულად განისაზღვროს სწავლის შედეგების კორელაცია სტუდენტთა სწრებადობასთან.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტი აქტიურ მონაწილეობას იღებს სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის დაგეგმვაში, სტრატეგიული და მიმდინარე გეგმების შემუშავებაში. სტუდენტებს სასწავლო უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა სახის მხარდაჭერის სერვისებს, ზრუნავს მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე. ამ ამოცანების რეალიზაციისთვის გთუნიში შექმნილია სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილება. ახალი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში შემუშავებულია დოკუმენტი: „სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები“. რაც მოიცავს უნივერსიტეტის სტუდენტთა სასწავლო, სამეცნიერო, კულტურული, შემეცნებითი, სპორტული, საქველმოქმედო საქმიანობის პოპულარიზაციას, ორგანიზებას და განხორციელებას; სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას მათი ინფორმირებით დასაქმების ბაზარზე არსებული მდგომარეობის, გამოცხადებული ვაკანსიების, დასაქმების ფორუმების, გამოფენების და სხვა ღონისძიებების შესახებ; გამოკითხვებით დასტურდება, რომ სტუდენტები დადებითად აფასებენ აღნიშნული კუთხით გაწეულ მუშაობას.

სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის მიზნით შემუშავებულია აკადემიური პროგრამების კონსულტაციის (ტუტორიალის) განხორციელების წესი, რომლის ამოცანებია: სტუდენტის მიერ სწავლის პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და ინტელექტუალური განვითარებისათვის ხელშეწყობა; სტუდენტის მიზანმიმართული ჩართვა სასწავლო პროცესში; სასწავლო პროცესთან

დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და დამუშავება; უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც ახორციელებს: სტუდენტთა სწრებადობის, შუალედური და დასკვნითი შეფასების აღრიცხვას, ელექტრონული ლიტერატურის და ბიბლიოთეკის მკითხველთა ანკეტების ელექტრონული ბაზას. აქვთ წვდომა შეფასებულ საგამოცდო ნაშრომზე. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ონლაინ რეჟიმში ჰქონდეთ კომუნიკაციბი აკადემურ, ადმინისტრაციულ, სხვა პერსონალთან; ასევე უნივერსიტეტში მიუსვლელად გაასაჩივრონ და გადაწყვიტონ სწავლასთან დაკავშირებული გაურკვეველი საკითხები.

ტუტურების, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის ერთობლივი საქმიანობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით: აკადემიური რეგისტრაციის პროცედურის შესახებ; საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების და სხვა შესახებ. საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, მათში მონაწილეობის, აკადემიურ პროცესთან დაკავშირებულ სხვა საუნივერსიტეტო წესებისა და რეგულაციების შესახებ; სტუდენტები ადასტურებენ, რომ მათ აქვთ წვდომა მათთვის საინტერესო ინფორმაციაზე როგორც პიროვნული კომუნიკაციების, ასევე ონლან სისტემის მეშვეობით.

სტუდენტები ფრაგმენტულად მონაწილეობენ საერთაშორისო პროექტებში, რომლებშიც ჩართულია გთუნი. გთუნის 2017 სასწავლო წელს Erasmus + მობილობის ფარგლებში ინჰოლანდის (ნიდერლანდები) გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის როტერდამის ბიზნესის, ფინანსებისა და სამართლის ფაკულტეტზე ერთი სემესტრით სწავლობდა ტურიზმის სპეციალობის 2 სტუდენტი. ტურიზმის სპეციალობის სტუდენტები ახორციელებენ უცხოური შემეცნებითი, სპორტული, საქველმოქმედო საქმიანობის პოპულარიზაციას, ორგანიზებას და განხორციელებას; უსდ მუშაობს სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობაზე მათი ინფორმირებით დასაქმების ბაზარზე არსებული მდგომარეობის, გამოცხადებული ვაკანსიების, დასაქმების ფორუმების, გამოფენების და სხვა ღონისძიებების შესახებ; სტუდენტები დადებითად აფასებენ აღნიშნული კუთხით გაწეულ მუშაობას

- სპეციალისტების მიერ ჩატარებულ მასტერ-კლასებში, ტრენინგებში, ვორქშოფებში. სტუდენტები მონაწილეობდნენ აგრეთვე მონაწილეობა ტემპუსის პროექტებში: 158739-TEMPUS-1-2009-1-DE-JPHES: „E-Learning-Weiter–bildungsnetzwerk im Tourismus -Belarus, Georgien und Ukraine –WeNeT“ (2009-2012);
- მონაწილეობა ტემპუსის პროექტში Project 543681-TEMPUS-1-2013-1-DE-JPHES“Network of Competence Centres for Development of Cruise Tourism in the Black Sea region- CruiseT“ (2013-2017);

თვითშეფასების ანგარიში, თანდართული დოკუმენტების ანალიზი და შეხვედრები გთუნიში მეტყველებენ იმაზე, რომ გასააქტიურებელია მუშაობა ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების უფრო მეტი ჩართულობისათვის, როგორც რაოდენობრივად, ასევე საქმიანობის მიმართულებების მიხედვით. უნდა გაიზარდოს უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენება უპირატესად მაპროფილებელ კურსებში. სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში. კარიერული მხარდაჭერის მიზნით უფრო ინტენსიური უნდა გახდეს ურთიერთობები დამსაქმებლებთან. ინკუბატორისთვის შეძენილ უნდა იქნეს პროგრამული პაკეტები დამსაქმებლების ინტერესების გათვალისწინებით.

1. **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
2. სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისი;
3. ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სამოქმედო გეგმები და ანგარიშები;
4. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების სამოქმედო გეგმები და ანგარიშები;
5. აკადემიური პროგრამების კონსულტაციის (ტუტორიალის) განხორციელების წესი;

6. საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების სამოქმედო გეგმები და ანგარიშები;
7. სამეცნიერო განყოფილების სამოქმედო გეგმები და ანგარიშები;
8. სუდენტური სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენციების თეზისები ( 2013-2014; 2014-2015; 2015-2016; 2016-2017 სასწავლო წლები);
9. პროექტის :543681-TEMPUS-1-2013-1-DE-JPHES"Network of Competence Centres for Development of Cruise Tourism in the Black Sea region- CruiseT" (2013-2017) მასალები;
10. სილაბუსები;
11. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა
12. ვებ გვერდი
13. გამოკითხვის შედეგები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია გაძლიერდეს მუშაობა სტუდენტების მხარდასაჭერად კარიერული განვითარების და ონლაინ სისტემით მაქსიმალური ინფორმირებულობის მიზნით.
- რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის პროცესში

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია უფრო ინტენსიური გახდეს სტუდენტების კომუნიკაციები დამსაქმებლებთან

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
| --- |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | X | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად ადასტურდებს, მათ CV-ებში ასახული კვალიფიკაცია, სამეცნიერო ხარისხი, სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის და/ან პრაქტიკული გამოცდილება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხი და სპეციფიკა. ასევე ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები, მათი სისტემატური მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრეინინგებში, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში (მათ შორის საზღვარგარეთ). გთუნიში შემუშავებულია აკადემიური თანამდებობის დაკავების კონკურსის წესი, რომლის მიხედვით ვაკანტურ თანამდებობებზე არჩევნები ცხადდება ღიად, საჯაროდ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, როგორც გთუნის ვებგვერდის, ისე ბეჭდურ მედიაში განთავსებული განცხადების მეშვეობით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში პერსონალის მოწვევა არ ითვალისწინებს კონკურსის გამოცადებას, თუმცა მოწვეულ მასწავლებელთა მიღებაც ხდება შერჩევის წესით, რომელთა მიმართაც წაყენებულია მოთხოვნები: კვალიფიკაციასთან, კომპეტენციასთან, გამოცდილებასთან და პრაქტიკულ ჩვევებთან დაკავშირებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასახულია გთუნის-

შინაგანაწესში, პერსონალის მართვის სტრატეგიაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების წესში, კონკურსის პირობებში და სამუშაოს აღწერილობაში. სასწავლო უნივერსიტეტში დროის მიზნობრივად გამოყენებისთვის დაყოფილია აკადემიური პერსონალის დატვირთვის პროცენტული წილები: სწავლება-70%, სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი საქმიანობა-20%, ადმინისტრციული და საზოგადოებრივი საქმიანობა-10.

პერსონალის ვალდებულებაა სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება თითოეული კურსის მიხედვით კვირაში 2 საათის განმავლობაში; პერსონალი აგრეთვე აქტიურადაა ჩართული კონფერენციების, კონკურსების, ოლიმპიადებისთვის, გამოფენებისთვის სტუდენტების მომზადებაში ან ამ ღონისძიებების ორგანიზებაში, რაც ასახულია მათი დატვირთვის სქემაში, CV-ში და საანგარიშო დოკუმენტებში.

პროგრამას ახორციელებს სულ 25 პედაგოგი, რომელთა შორის 22 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალია. აკადემიური პერსონალის შემადგენლობაშია: 12 აფილირებული პროფესორი, 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 2 არააფილირებული პროფესორი, 3 არააფილირებული ასოცირებული პროფესორი, რაც ადეკვატურია აქტიური სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში ამ პროპორციით 25/186. გთუნი-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაკ ადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრულ რაოდენობის და თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/25; აღნიშნულის გათვალისწინებით: აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო თანაფარდობა აქტიურ სტუდენტებთან მიმართებაში არის 1/7; აკადემიური პერსონალის. აკადემიური და მოწვეული პერსონალს შორის ბალანსია 22/3 რაც მეტყველებს პროგრამის მდგრადობაზე.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება, კვალიფიკაცია, საერთაშორისო პროექტებში და პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება, დარგის შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები, რაც დეტალურადაა აღწერილი CV-ში.

აფილირებული აკადემიური პერსონალისა და აკადემიური პერსონალის (პროფესორი) უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა-ვალდებულებები ერთნაირია. აუცილებელია მათი გამიჯვნა.
პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პერსონალის პირადი საქმეები
- პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულებები და პირადი საქმე
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია აფილირებული აკადემიური პერსონალისა და აკადემიური პერსონალის (პროფესორი)

უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა-ვალდებულებები გაიმიჯნოს და მუხლების სახით აისახოს (პერსონალის) ინდივიდუალურ ხელშეკრულებებში

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ტურიზმი) - მეოთხე სტანდარტის ქვესტანდარტი 4.2. ,,აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება"-ს მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღსანიშნავია, რომ უსდ აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა (სასწავლო/კვლევითი საქმიანობა) და კმაყოფილების კვლევის შედეგებს და აანალიზებს ამ შედეგებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის (კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული ზრდა), თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი ვერ ახერხებს სრულფასოვნად

ჩაერთოს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა თუ კონფერენციებში ენობრივი ბარიერის გამო.მიზანშეწონილია უსდ-მა/ფაკულტეტმა პერმანენტულად უზრუნველყოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინგლისურ ენაში (საკომუნიკაციო დონეზე ფლობის/სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების დამუშავების კომპეტენცია და ა.შ.) გრძელვადიანი ტრენინგებისა და workshop-ების შეთავაზება. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს უსდ-ს, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის კომპეტენციებისა და უნარების გაღრმავებას, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს მონაწილეობა მიიღოს უფრო მეტ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში, შეძენილი ცოდნა გაუზიარონ სტუდენტებს და დაგეგმონ ერთობლივი პროექტები პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. პერსონალის მართვის სტრატეგია;
2. აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის სქემის შემუშავების მეთოდოლოგია;
3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა და პროფესიული განვითარება - ანგარიში 2013-2014წწ;
4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა და პროფესიული განვითარება - ანგარიში 2014-2015წწ;
5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა და პროფესიული განვითარება - ანგარიში 2015-2016 წწ;
6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა და პროფესიული განვითარება - ანგარიში 2016-2017 წწ;
7. პროგრამის ხელმძღვანელის CV;
8. აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV.

- პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში
- უსდ- ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები
- თვითშეფასების ანგარიში

**ინტერვიუს შედეგები**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისვის.** .

სასურველია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი უფრი აქტიურად ჩაერთოს კვლევით საქმიანობაში და გაცვლით პროგრამებში.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ㅇ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ტურიზმში უზრუნველყოფილია სრულფასოვანი განათლების მიღებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერები და ა.შ), პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

უნივერსიტეტში ლექციები წარიმართება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. პედაგოგებს საშუალება აქვთ სალექციო მასალა, სტუდენტებისათვის მეტი თვალსაჩინოების მიზნით, წარმოადგინონ ელექტრონული პრეზენტაციების სახით. გავლილი სალექციო კურსი და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული მასალა (მაგალითები, დავალება) განათავსონ როგორც სპეციალურად სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ასევე შიდა ქსელში ორგანიზებულ ელექტრონული სწავლების სისტემის - Moodle პორტალზე. აღნიშნული სისტემის გამოყენებით, სასწავლო კურსების გარკვეული რაოდენობა ფართოდ იყენებს კომპიუტერულ ტესტირებას სტუდენტების როგორც მიმდინარე, ისე შუალედურ და დასკვნით შეფასებაში. ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა (მაგ. EBSCO). ბიბლიოთეკაში არსებობს საბიბლიოთეკო აქვს ვებ-გვერდზე www.gtuni.edu.ge/openbiblio/opac/index.php.

ბიბლიოთეკის ფონდის საერთო რაოდენობა შეადგენს 17987 ეგზემპლარს. აქედან 13850 წიგნი (ბეჭდური), 875 ეგზემპლარი ამონარიდი (ქსეროქზე გამრავლებულისაკითხავი მასალა), 1602 ერთეული - ელექტრონული ლიტერატურა, 1660 ერთეული ჟურნალი.

დღეისათვის ბიბლიოთეკაში 11636 სახელმძღვანელოა.

- ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა (მაგ. EBSCO). ბიბლიოთეკაში არსებობს საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული სამი სახის კატალოგი: სისტემური, ანბანური და ელექტრონული(openbiblio). მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის
- ტურიზმის სპეციალობის სუდენტთათვის შექმნილია სასწავლო ტურისტული სააგენტო „GT Travel";
- ტურიზმის გეოინფორმაციული სისტემების შესასწავლად სტუდენტებისთვის გამოყოფილია ტემპუსის პროექტის ბიუჯეტით შექმნილი უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი;
- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს უფასო უსადენო ინტერნეტის ქსელი (WiFi);

  ტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ

.უნივერსიტეტში არსებული რესურსების გამოყენების შესახებ შესაძლებლობისა და მოხმარების წესების გაცნობის მიზნით იმართება პერიოდული საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც სტუდენტებს, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულები აწვდიან ინფორმაციას, რესურსების გამოყენების პირობებს.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ტურიზმში უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერები და ა.შ), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა (მაგ. EBSCO). ბიბლიოთეკაში არსებობს საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული სამი სახის კატალოგი: სისტემური, ანბანური და ელექტრონული(openbiblio). მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის; სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

უნივერსიტეტში არსებული რესურსების გამოყენების შესახებ შესაძლებლობისა და მოხმარების წესების გაცნობის მიზნით იმართება პერიოდული საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც სტუდენტებს, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულები აწვდიან ინფორმაციას, რესურსების გამოყენების პირობებს.

1. **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
2. საკუთრების უფლება უძრავ ნივთებთან მიმართებაში – საჯარო რეესტრის ამონაწერით: №01.12.14.094.004.
3. საკუთრების უფლება მოძრავ ნივთებთან მიმართებაში – საბუღალტრო დოკუმენტაციით, წერილობითი ხელშეკრეულებებით, მიღება–ჩაბარების აქტებით, ანგარიშ–ფაქტურებით, ბალანსზე ხანგრძლივი პერიოდით არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. უნივერსიტეტის 2017 წლის ბალანსით.
4. უნივერსიტეტის 2017 წლის საინვენტარიზაციო აღწერილობით.
5. უსაფრთხოების სისტემის დამონტაჟების ხელშეკრულებით (ს/კ 206201698).
6. უსაფრთხოების სისტემის მიღება-ჩაბარების აქტით.

7. საბუღალტრო დოკუმენტაციით; ანგარიშ–ფაქტურა №77 21.10.2009.
8. უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმით.
9. რექტორის მიერ დამტკიცებული დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებით.
10. გთუნი-ის სტრუქტურით - დამტკიცებული რექტორის ბრძანებით № 01-01/78 28.12.2012.
11. არსებული პანდუსებით და სველი წერტილებით.

- რექტორის ბრძანებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მომსახურების წესის შესახებ - № 01-01/48 24.08.2012მატერიალური და ტექნიკური რესურსი
- ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის (ტურიზმი) ფინანსური უზრუნველყოფა ხდება გთუნი-ს ბიუჯეტიდან და ხორციელდება ერთიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, სამეცნიერო კვლევების განხორციელებისთვის სათანადო პირობებს, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას. უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და იგი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უსდ-ს ბიუჯეტი
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი თანამშრომლობს როგორც გთუნი-ს ისე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, ხარისხის შეფასების შედეგები პერსონალის მიერ გამოყენებულია პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას ყოველწლიურად. ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს ტურიზმის პროგრამასთან დაკავშირებით გადასცემს პროგრამაში ჩართულ პირებს, ასევე პროგრამის შემუშავების, გადამუშავება-განახლების ჯგუფს, რომელიც პროგრამის მოდიფიცირებისას ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციებს. .საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ციკლი "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე , განავითარე ხორციელდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ, სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთვრებულთა

სისტემატიური გამოკითხვებისა და მათი ანალიზის საფუძველზე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად, შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. კერძოდ აზუსტებენ რამდენად რთული, ან მარტივია სასწავლო კურსის პროგრამა, რამდენად მართებულადაა შერჩეული შესასწავლი თემები, შეფასების რამდენად ადეკვატური ფორმებია გამოყენებული ლექტორების მიერ და რამდენად მაღალია სტუდენტთა მომზადების დონე. ინტერვიუთი დასტურდება რომ შეფასების შედეგების მიხედვით ისინი ახდენენ პროგრამის მიზნების, შედეგების, შინაარსის, კურსების, გამოყენებული ლიტერატურის, წყაროების და გამოყენებული მეთოდების გადაფასებას. აგრეთვე, ავლენენ განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რაც, თავის მხრივ ხდება პროგრამის სტრუქტურული, შინაარსობრივი ან/და საკადრო ცვლილებების საფუძველი.

1. მტკიცებულებები/ინდიკატორები
2. შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;
3. პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები (სტუდენტების პროფილები, სტუდენტების პროგრესია, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მაჩვენებელი, სტუდენტების კმაყოფილება თავიანთ პროგრამასთან მიმართებაში, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და სხვა);
4. თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;
5. უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
6. ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია პროგრამების და სილაბუსების გაუმჯობესების მიზნით ინტენსიური კომუნიკაციების დამყარება, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტებულ პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციები, შენიშვნები, მითითებები გაითვალისწინოს და განსახილველად გადასცეს სასწავლო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოებს, უზრუნველოს გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. გარე შეფასებით საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს პროგრამის შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ დადგენილ განახლებულ სტანდარტებთან, შესაბამისად გარე შეფასების შედეგები გამოყენება ემსახურება პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას. 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მიღებული აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციები სრულად არის ასახული ტურიზმის პროგრამაში.

ტურიზმის სფეროში მომუშავე სპეციალისტების, პარტნიორი სა სწავლებლების შესაბამის დარგში მოღვაწე აკადემიური პირების და სხვა დაინტერესებული მხარეების გარე შეფასებები, უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების და შედეგების შესაბამისობას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. სასურველია მათი წინადადებების, რჩევების და რეკომენდაციების ასახვა პროგრამის და სილაბუსების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

1. **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
2. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება;
3. ლექციაზე დაკვირვების ფორმა;
4. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები;
5. სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;
6. უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
7. პერსონალის მართვის სტრატეგია.
8. გამოკითხვის შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია გარე ხარისხის შეფასების შედეგები, ასახვას პოულობდეს პროგრამის და სილაბუსების შინაარსის ხარისხის გაუმჯობესებაში

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება ეფუძნება ინფორმაციის სისტემატურ შეკრებას, დამუშავებას და მიღებული ცოდნის გამოყენებას ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სასწავლო უნივერსიტეტი აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს, რათა უზრუნველყოს დაგეგმილი მიზნების მიღწევა და რეაგირება მოახდინოს სტუდენტებისა და საზოგადოების შეხედულებებზე. შეფასებამ უნდა ხელი შეუწყოს პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას. გამოკითხვით დასტურდება, რომ აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა უნდა ეცნობება ყველა შესაბამის მხარეს.საგანმანათლებლო პროგრამების რეგულარული მონიტორინგის და შეფასების მიზანია პროგრამის სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა და სტუდენტებისთვის მხარდამჭერი და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა. პროგრამების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. შეფასების შედეგების ანალიზი იძლევა პროგრამის კრიტიკულად შეფასების შესაძლებლობას და შესაბამისად, განვითარების გზების დასახვას.

| |
|---|
| შეფასებამ და მონიტორინგმა განაპირობა გასატარებელი ცვლილებების აუცილებლობა, რაც უპირველესად შეეხო პროგრამის ცალკეული კურსის თემატიკას, სწავლება-სწავლის მეთოდებს და სხვა ცვლილებებს. მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით და დასკვნის საფუძველზე განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება/განახლება.<br>2013 წლის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში დაინტერესებულ მხარეთა რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამა შევიდა მრავალი ცვლილება. თუმცა პრინციპულად არ შეცვლილა პროგრამის მიზნების სტრუქტურისა და სწავლის შედეგები.<br>ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეტი ყურადება დაეთმოს დაინტერესებულ მხარეეთან საგნობრივ და რეგულარულ კომუნიკაციებს, ისე რომ თითოეული მონაწილეს (კურდამთავრებულები დამსაქმებლები და სხვები) პერიოდულად ჰქონდეთ, აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობის მოლოდინი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება;<br>• ლექციაზე დაკვირვების ფორმა;<br>• აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები;<br>• სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;<br>• უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>• პერსონალის მართვის სტრატეგია |
| **რეკომენდაციები:**<br>ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაამყაროს რეგულარული და საგნობრივი კომუნიკაციები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და (სხვა დაინტერესებულ მხარეებთან) |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | X | | |

### თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | X | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | X | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ასლან მახაძე 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მერაბ ხოხობაია 

ეკა დევიძე 

ანა მოსემღდიშვილი 